

კონკურსი

ქ.თბილისში, მარშალ გელოვანის №6-ში მდებარე
შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოების
განხორციელებისთვის საჭირო საპროექტო-სახართაღრიცხვო მომსახურების
შესყიდვაზე

2014 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. საკონკურსო განცხადება _____ 3

2. ტექნიკური დავალება _____ 7

3. ხელშეკრულების პროექტი _____ 8

საკონკურსო განცხადება

1. სსიპ სოფლის მეურნეობის სამცხეთო-ჯავახეთი ცენტრი აცხადებს კონკურსს ქ.თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირი №6-ში (საქადასტრო კოდი: 01.10.10.022.084) მდებარე ადმინისტრაციული შენობისა და დამხმარე ნაგებობების სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოებისათვის და მიმდებარე ეზოს კეთილმოწყობისათვის საჭირო საპროექტო-სახარტალრიცხო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

2. კონკურსის მიზანია აღნიშნულ მისამართზე არსებული 2561 მ² მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობისა და მასზე დამაგრებული შენობის (№1/2) - ფართი 900მ² - რეკონსტრუქციის და ნაგებობების კონსერვაციის განხორციელებისათვის საჭირო საუკეთესო პროექტის გამოვლენა და შემდგომში, გამარჯვებულ კონკურსანტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, საპროექტო-სახარტალრიცხო დოკუმენტაციის მიღება.

3. პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს:

- ადმინისტრაციული შენობაში მთავარი შესასვლელის მოწყობა არსებულ კიბის უჯრედდთან
- სატელეკომუნიკაციო (ინტერნეტი, კომპიუტერები, ტელეფონი და ტელევიზია) ქსელები
- სახანძრო უსაფრთხოების სისტემები
- გათბობის სისტემის მოწყობა ბუნებრივ აირზე
- საქვებისა და ორი სასაწყობო სათავსოს მოწყობა მიდებარე დამხმარე ნაგებობაში (ნაგებობა N3/1)
- კონდეციონერების მონტაჟი
- ელექტრო-ტექნიკური პროექტი
- წყალმომარაგების და კანალიზაციის პროექტი
- ადმინისტრაციული შენობის ნახევრად ღია აივნის გადახურვა
- ძირითად ადმინისტრაციულ შენობასა (შენობა 1/2) და მიმდებარე დამხმარე ნაგებობას (ნაგებობა 2/1) შორის გასასვლელის მოწყობა
- ადმინისტრაციული შენობის (შენობა 1/2) მიმდებარე დამხმარე ნაგებობების (ნაგებობები 2/1 და 3/1) კონსერვაციასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარება, კერძოდ – ნაგებობების სახურავებიდან მიწაყრილის მოხსნა, ბრტყელი გადახურვის მოწყობა, ნაგებობების გამოსუფთავება, კარების მოწყობა, ფასადების მოწესრიგება
- შენობის ტექნიკური სპეციფიკაცია და ორგანიზაციულ ტექნიკური დეტალები (მათ შორის, სველი წერტილები, კორიდორები, არსებული კიბის უჯრედის მოწესრიგება

და სხვა) უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ სტანდარტებს და პროექტის დასრულებამდე საბოლოოდ უნდა შეთანხმდეს დამკვეთთან.

- ტერიტორიის გეგმარებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სატრანსპორტო საშუალებების ადმინისტრაციულ და სასაწყობე შენობებთან შეუფერხებლად მისვლისა და ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების შესაძლებლობა. ასევე საწყობთან სატვირთო ავტომანქანების მისვლის და ტვირთის დაცლის შესაძლებლობა
- კონსულტაციები მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებით უფლებამოსილ ორგანოსთან
- მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა (პირობები შეთანხმდეს დამკვეთთან)

4. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა – 25 000 ლარი (დ.ტ.გ-ს ჩათვლით)

5. საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის დაინტერესებული პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა გადახდილი უნდა იყოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე (ანგარიშის რეკვიზიტები იხ. ვებგვერდზე: www.procurement.gov.ge)

6. საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს საკონკურსო წინადადებასთან ერთად, მაგრამ არა დალუქულ კონვერტში და უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკლარი ნომერი და გადახდის თარიღი;
- შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი
- საკონკურსო განცხადების უნიკალური ნომერი.

7. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს არ განიხილება. ამასთან, მე-4 და მე-5 პუნქტების დარღვევით წარმოდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

8. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

9. საკონკურსო წინადადება და მასზე დართული ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქული კონვერტით, ქართულ ენაზე და უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი, რომელთაც მიენიჭება უპირატესობა.

10. საკონკურსო წინადადების მიღება იწარმოებს **2014 წლის 24 ივლისის 11 საათიდან - 15 საათამდე** შემდეგ მისამართზე: თბილისი, ჩაჩავას ქუჩა №8, მე-5 სართული სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ მიიღება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

11. საკონკურსო წინადადებასთან ერთად კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს: იურიდიული პირის შემთხვევაში – ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომელიც ადასტურებს, რომ კონკურსანტის ქონებაზე არ არის რეგისტრირებული ყადაღა/აყრდნობა, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა და იგი არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში; ფიზიკური პირის შემთხვევაში – ცნობა საჯარო რეესტრიდან საჯაროსამართლებრივი შეხუდვის არ არსებობის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების შემდეგ.

12. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო წესით, მიღება-ჩაბარებისა და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან 15 დღის განმავლობაში კონკურსანტმა წინადადების ფასში უნდა გაითვალისწინოს ყველა შესაძლო ხარვეზის/ნაქლის გამოსწორების ხარჯი.

13. საავანსო ანგარიშსწორება არ განიხილება.

14. **კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა წარმოადგინოს:**

- საკონკურსო წინადადების ფასი დღგ-ს გათვალისწინებით.
- განმარტებითი ბარათი - გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა, არქიტექტურული კონცეფცია, ესკიზები.
- კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შენობის გარე იერსახის **3D** ვიზუალიზაცია
- გენგეგმა (მიწის ნაკვეთის არსებული საკადასტრო გეგმის საფუძველზე) – მ. 1:500
- ვიზუალიზაცია (რენდერები, ფოტომასალა)
- ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ (არანაქლებ ორი არქიტექტურული პროექტის ესკიზი და ფოტომასალა)
- კონკურსანტის სრული რეკვიზიტები
- ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადების შესახებ

15. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

16. საკონკურსო კომისია მოახდენს კონკურსანტის დისკვალიფიკაციას, თუ:

- 16.1. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ არის წარმოდგენილი ჯანონმდებლობითა და ამ განცხადების მოთხოვნათა დაცვით, ან არ შეესაბამება საკონკურსო პირობებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
- 16.2. საკონკურსო წინადადებასთან ერთად კონკურსანტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო დოკუმენტს ან წარმოადგენს საკონკურსო პირობებთან შეუსაბამო საკვალიფიკაციო დოკუმენტს.
- 16.3. კონკურსანტი მოთხოვნილ ვადაში არ დააზუსტებს ან არ წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მოთხოვნილ დამატებით ინფორმაციას.
- 16.4. კონკურსანტი უარს განაცხადებს ხელშეკრულების გაფორმებაზე.
- 16.5. კონკურსანტი ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდენს არაჯეთილსინდისიერ ქმედებას.

16.6. საკონკურსო წინადადების ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას.

17. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამრჩეული კონკურსანტის გამოვლენა:

შეფასება განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი: კოეფიციენტი – 0.5
- კონკურსანტის გამოცდილება: კოეფიციენტი – 0.2
- წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0.2
- საბოლოო პროექტის წარმოდგენის ვადები: კოეფიციენტი – 0.1

17.1. შეფასება განხორციელდება ათ ბალიანი სისტემით.

17.2. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მხრიდან მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა.

17.3. ქულათა თანაბარი გადანაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

18. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 40 დღეში.

19. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები ესკიზში.

20. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები ოთახების განლაგებასთან და მათ ფუნქციონალურ დატვირთვასთან დაკავშირებით.

21. პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს A3 ფორმატის ალბომის სახით (5 ეგზემპლარი)

22. წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. ამასთან, კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ.

23. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

24. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი საკონტაქტო პირისგან: **რევაზ სიჭინავა, ტელ: 595 22 22 18** ელ.ფოსტა: **sichinavarevaz@gmail.com** თბილისი, ჩაჩავას ქუჩა №8, მე-5 სართული

ტექნიკური დავალება

1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ქ.თბილისში, მარშალ გელოვანის №6 (საკადასტრო კოდი: 01.10.10.022.084) მდებარე ადმინისტრაციული შენობისა და დამხმარე ნაგებობების სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოებისათვის და მიმდებარე ეზოს კეთილმოწყობისათვის საჭირო არქიტექტურული პროექტი, რომელიც უნდა შედგებოდეს სრული არქიტექტურული ნაწილის, ინტერიერის დიზაინისა და გარე ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტისაგან.

2. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- განმარტებითი ბარათი
- არქიტექტურული ანაზომი (ფასადები, გეგმები, ჭრილები)
- გენგეგმა (მასშტაბი - 1:500)
- სართულების გეგმა (მასშტაბი 1:200)
- არქიტექტურული ნაწილი (მათ შორის: გენ.გეგმა; პირველი და მეორე სართულის გეგმა; ფასადები; ჭრილები)
- ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი
- კონსტრუქციული ნაწილი
- საინჟინრო ნაწილი (მათ შორის გათბობა, ვენტილაცია, კონდიციონერება, სანტექნიკა, წყალმომარაგება, გაზმომარაგება)
- ელექტროტექნიკური პროექტი (ქსელის მიერთება ტრანსფორმატორთან)
- სუსტი დენების პროექტი
- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი
- ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი
- ხარჯთაღრიცხვა

3. საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და ჯანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები. ფასში გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა ხარვეზისა და მოთხოვნილი ცვლილების ღირებულება.

4. იმ შემთხვევაში თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული და დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზლაურების გარეშე.

5. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში მითითებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 700 000 ლარს.

6. პროექტირების პერიოდში, საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საყიფო ზეპირი სახით თანხმდება შემსყიდველთან.

პროექტი

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად.

წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავედროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. თბილისი

_____ 2014 წ.

ერთის მხრივ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან უმაჯურიძის სახით და მეორეს მხრივ, _____ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი _____ სახით, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და პრეტენდენტის (დასახელება) საკონკურსო წინადადების საფუძველზე, კონკეტის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე ტანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაქისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - ხალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.5. „არაჯეროვანი შესრულება“ - ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე მიმწოდებლის მხრიდან შემსყიდველისათვის ისეთი სახის მომსახურების მიწოდება, რომელიც შესაბამება ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებულ საგანს, თუმცა ბოლომდე არ აკმაყოფილებს აღნიშნული ხელშეკრულების ყველა პირობას.

1.6. „განცხადება“ - საკონკურსო განცხადება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

1.7. „ტექნიკური დავალება“ - საკონკურსო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

1.8. „ტექნიკური დოკუმენტაცია“ - მიმწოდებლის მიერ კონკურსში წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებისთვის საჭირო საპროექტო მომსახურების შესყიდვა.**

2.2. **მომსახურების** მიწოდების პირობების მოკლე აღწერა მითითებულია განცხადებასა და ტექნიკურ დავალებაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს _____ (თანხა სიტყვიერად) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის საქართველოს უნიონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა შესაბამის გადასახადებს.

4. მომსახურების მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. მომსახურება მიწოდებულ უნდა იქნას ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 დღის განმავლობაში.

4.2. მომსახურების მიწოდების ადგილია – ქ. თბილისი, ჩაჩავას ქუჩა .№8, .

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მხარეებს შორის განუღებულ მომსახურებაზე გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი შესაბამისი ღირებულების ასახვით.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერი უფლებამოსილი პირი განისაზღვრება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

6.3. ანგარიშსწორება მოხდება 15 დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და სათანადო საგადახდო დოკუმენტების შემსყიდველისთვის მიწოდების თარიღიდან (იმის მიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება).

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს განუელი მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს განუელი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს დადგენილი ხარისხითა და სტანდარტების მომსახურება;

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განხორციელებს შემსყიდველის მხრიდან განსაზღვრული პირი(ები);

8.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებელი პირი(ების) ფუნქციას მისაწოდებელი ან/და მიწოდებელი მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

8.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისთვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.

8.5. ყველა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს უანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ განუელი მომსახურება იქნება ხარისხიანი და წუნის გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას ყველა ნაკლი.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისავის

10.1. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 % ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

10.2. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% ოდენობით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე;

10.3. ხელშეკრულების 10.1. და 10.2. პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში შემსყიდველს არ ევალება ხელშეკრულების 6.3. პუნქტში მითითებული ვადის დაცვა. მიმწოდებლისთვის თანხის გადახდა მოხდება პირგასამტეხლოს გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენიდან 30 დღის განმვლობაში;

10.4. ხელშეკრულებით ნაყისრი ვალდებულების შესრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% ოდენობით;

10.5. თუ ხელშეკრულების 10.1.1. და 10.2. პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლობის თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%, შემსყიდველ უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს აღნიშნული ხელშეკრულება.

10.6. პირგასამტეხლობის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების/დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ“ დებულების 25-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების არსებული ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაყისრი ვალდებულებების შესრულებას, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

12.4. შემსყიდველის დაფინანსების წყაროს შემცირების ან დაგეგმილი შემოსავლების ნაკლები რაოდენობით მიღების შემთხვევაში (თუკი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა გათვალისწინებული იყო ამ შემოსავლებიდან), შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

12.5. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შესრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

12.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. დაუძლეველი ძალა

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ჰასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

13.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაყისრი ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო ჯალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაყისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ჰასუხისმგებლობისაგან.

13.3. მხარეთა ვალდებულებები და ჰასუხისმგებლობა განხლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის მომენტიდან მოქმედებს 2015 წლის 31 იანვრამდე.

15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან), ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.3. გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველი

მიმწოდებელი
